

ვილსონის მანიფესტი.

ბ-ნმა ვილსონმა, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მიმართა 22 იანვარს 1917 წელს ამ რესპუბლიკის სენატს ფრანკლი მანიფესტით, სადაც გამოსთქვა თავის შეხედულება იმაზე, თუ როგორი პირობებისა უნდა იყოს მომავალი ზავი და რაა საჭიროა, რომ კვლავ მშვიდობიანად იყოს ხანგრძლივი და დაურღვევლი. ჩვენ ამ მანიფესტთან მთავიყვანთ მზოლად რამდენიმე დავიღოს:

.....ერთა თანასწორობა, რომელზედაც უნდა დამყაროს ზავი, რათა იყვეს იგი ხანგრძლივი, უნდა იყვეს უფლებათა თანასწორობა. ურთიერთის უზრუნველყოფამ არ უნდა სსნოს არც ფორმალურად და არც ფარულად განსხვავება დიდ და პატარა, მძლავრ და სუსტ ერთა შორის.

სამართლი უნდა იყვეს დამყარებული საერთო ძალაზე და არა ერთა ინდივიდუალურ ძალაზე, რომელთა საერთო მოქმედებაზე არის დამოკიდებული მშვიდობიანობა. რასაკვირველია არ შეიძლება იყვეს ტერიტორიის და შეძლების თანასწორობა და არც სხვა რაიმე თანასწორობის, რომელიც არ იქმნება მოპოვებული თვით ერთების ბუნებრივი და კანონიერი განვითარებით, არსებობა შესაძლებელი. და აკი არც არაიენ თხოვლობს არაფერს გარდა უფლებათა თანასწორობისა....

შემდეგ პრეზიდენტი ეხება ზღვის თავისუფლების აუსილებლობას. ამბობს, რომ არც ერთს თხოვლობს არა აქვს უფლება უქსირდეს ამა თუ იმ ერს როგორც თავის საკუთრებას, მიაჩნია აუსილებლად ერთა განვითარების თავისუფლება, სსნობს პოლიონეთის დამოუკიდებლობის აუსილებლობას, ამბობს, რომ სხვა პირობებში შეუძლებელია მშვიდობიანობა და ასე ამითარებს:

„აი ამიტომ მე ვითლვეი წინადადებას: რომ ერთებმა მიიღონ ეხლა თავიანთ საქვეყნო დოქტრინად პრეზიდენტ მონროეს*) დოქტრინა, რომლის მიხედვით არც ერთი ხალხი არ უნდა სსლიობდეს გავრცელობის თავისი მართველობის ფორმა (თავის მთავრობა) სხვა რომელიმე ხალხზე არ უნებ, პირიქით საჭიროა, რომ ყოველ ერს, დიდი და მძლავრი იქნება იგი თუ პატარა, ჰქონდეს საშუალება გადასწყვიტოს თითონ უშიშრად, ძალდაუტანებლივ და ხელშეუშლლად, თავის მოწყობის, მართვა-გამგეობის და განვითარების ხასითა“.

შემდეგ პრეზიდენტი აძლევს წინადადებას უარპყონ ყველა მთავრობებმა ერთმანეთში კავშირების შეკვრა, რადგან ამ კავშირების წყალობით იმართება ათსნაირი ინტრიგები და იბადება სიბოროტე, ეგონისტური მისწრაფებანი; დამყარებული იქმნას ზღვის თავისუფლება და იქნეს შემსირებელი შეიარაღება ჯარისა და ფლოტისა იმ დონემდის, რომელიც საჭიროა

რო იქმნება შეერთებულის ძალებით მშვიდობიანობის დამრღვევის დასასჯელად.

„აი ეს პრინციპები,—ამბობს პრეზიდენტი,—არაიან ჰუმანიტარული პრინციპები, საჭიროა რომ განხორციელდნენ“.

ამ მანიფესტის თაობაზე „თავისუფალ საქართველოს“ წარმომადგენლებმა მიმართეს ბ-ნ ვილსონს, ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტ შემდეგი დეკლარაციით (იხ. დოკუმენტები).

დოკუმენტი.

ბატონო პრეზიდენტო,

დიდის ალტაპებით წავიკითხეთ ჩვენ თქვენი მიმართვა 22 ამ თვეს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სენატის მიმართ. თქვენ გსურთ შექმნათ უფრო მეტიდრო ორგანიული კავშირი განათლებული ქვეყნის ყოველ სახელმწიფოს მთავრობისა და ხალხის შორის. თქვენ სსნობთ პოლიონეთის დამოუკიდებლობას და აძლევთ წინადადებას ყველა სახელმწიფოზე, რათა მათ მიანიჭონ ყველა უსპო ერთებს, რომელნიც კი შედიან ამ სახელმწიფოების შემადგენლობაში და უზრუნველ ჰყონ თავისუფლება ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ განვითარებისა, ერთგნული და სარწმუნოებრივი თავისუფლება. თქვენ გადასულეთ კასობრიობას უდიდესი იდეებით და ჩვენს ქართველები ვიმედიანებთ, რომ ამ იდეების განხორციელება მოუღებს ბოლოს იმ აუტანელ ტანჯვას, რომელსაც გადაყენებს რუსეთის მთავრობა ავერ ერთს სუეცუნეხ მუცია ჩვენ. იმ ერს, რომელიც მან შეიერთა 1783 წლის ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველ ჰყოფდა ჩვენს მთლიან შინაგან ავტონომიას, დარღვეული იქმნა რუსის მთავრობისაგან საქართველოში შემოსვლის უშალ. მას აქეთ შეუწყვეტლად სძლიობენ ჩვენი ერის გარუსებას, მუდამ არბევენ მას და ქართველი ერი იძყოფება საბოლოოდ მოსპობის საშინელ განასაძღელში.

ბატონო პრეზიდენტო! როდესაც მოვა დრო კასობრიობის ორგანიზაციის გადაკეთების თქვენი იდეების მიხედვით, როდესაც ზავის მომავალ კონგრესზე ამერიკის ხალხს და მის პრეზიდენტს ერებათ ხვედრად შესაბოლოან დად მნიშვნელოვანი როლი, მაშინ არ დაიეწყით საქართველო, რომელსაც აქვს ყოველ შემთხვევაში იმდენივე უფლება დამოუკიდებლობაზე ან შინაგან მთლიან ავტონომიაზე, რამდენიც ყოველ სხვა უსამართლად დანაგრულ ერს. ამას გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, ჰუმანიზმის და საერთაშორისო უფლების სახელით.

მიხეილ წერეთელი
გიორგი კვარცხელიძე

„თავისუფალ საქართველოს“ წარმომადგენლნი ევროპაში.
25 იანვარი 1917 წ.

*) ჯგუფს მონროე იყო ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტი 1817 წლ. 1825 წლამდე. იგი სსნობლია თავისი დოქტრინით, რომელიც უარს ჰყოფს ევროპის რაიმე ჩარევას, რა ნაირიც უნდა იყვეს იგი, ამერიკის საქმეებში.